



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო პროგრამა  
კომპიუტერული მეცნიერება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ): 18-19 თებერვალი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 21 აპრილი 2021

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	საჯარო სამართლის იურიდიული პირი

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული მეცნიერება Computer Science
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი Master of Computer Science
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი 0613
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ხაჩიძე - ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინე ხიზანიშვილი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ რუხაია - თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბაქარ დუაძე - ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

#### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

რეაკრედიტაციის მოპოვების მიზნით წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა სახელწოდებით „კომპიუტერული მეცნიერება“, არის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2006 წლიდან მოქმედი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ განახლებული ვარიანტი, რომელმაც პირველი ძირეული ცვლილება განიცადა 2012 წელს, შეეცვალა სახელი „ბიზნეს ინფორმატიკა“ და მოიპოვა აკრედიტაცია.

რეაკრედიტაციისათვის მზადების პროცესში აღნიშნულმა პროგრამამ განიცადა რიგი ცვლილებები - შეიცვალა სახელი და ეწოდა „კომპიუტერული მეცნიერება“, მოხდა საგნების ჩანაცვლება, შეიცვალა პროგრამის მიზნები და შედეგები, შეიცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაცია ახალი ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისად. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს #01-06/53 დადგენილებით დამტკიცდა სამაგისტრო პროგრამა „სახელწოდებით „კომპიუტერული მეცნიერება“, მისანიჭებელი კვალიფიკაცია „კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი“.

სამაგისტრო პროგრამა განახლებული სახელწოდებით წარდგენილია შემდეგი ფორმით: სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე; პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს.

პროგრამის მოცულობა განაწილებულია: სპეციალობის სავალდებულო კურსები - 95 კრედიტი, სპეციალობის არჩევით კურსები - 15 კრედიტი, თავისუფალი კომპონენტები - 10 კრედიტი. სპეციალობის სავალდებულო კურსები მოიცავენ დარგობრივ (65 ECTS) დისციპლინებს და სამაგისტრო ნაშრომს (30 ECTS).

#### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შეირჩა ამავე დარგის ორი პროფესორი, ერთი დამსაქმებელი და ერთი სტუდენტი, რომელთა უნივერსიტეტში „ვირტუალური“ ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 18-19 თებერვალს Zoom პლათფორმის საშუალებით (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 28 იანვრის N 5 21 0000035766 ბრძანება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტში). ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2021 წლის 15 თებერვალს - მოხდა პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება.

2021 წლის 18-19 თებერვალს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით Online რეჟიმში. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ ლექტორებთან; სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან. ასევე Online რეჟიმში ვიდეოჩართვით განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები.

ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება **პირველ სტანდარტს**, რადგან:

- **სწავლის შედეგების** შეფასებისათვის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სწავლის შედეგების შეფასება. სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება სხვადასხვა გამოკითხვებს და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კვლევას სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე. დოკუმენტი ზოგადი ხასიათისაა და არაა განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების დადგენის და შეფასების მექანიზმი პროგრამის ან/და საგნის სწავლის შედეგებთან მიმართებაში. წარმოდგენილ მასალებში მოცემულია ერთი სასწავლო წლის შესაბამისი საგნების აკადემიური მოსწრების სტატისტიკა, მაგრამ არაა გაანალიზებული რა ინფორმაციაა ამის საფუძველზე მიღებული - დამაკმაყოფილებელია თუ არა შედეგი, რა ქმედებები უნდა განხორციელდეს (ან არ უნდა განხორციელდეს) და როდის პროგრამის გასაუმჯობესებლად. თვითშეფასებაში მოცემულია ზოგადი ჩანაწერი “დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე (**რას გულისხმობს ანალიზი?**) პროგრამის გუნდი (პროგრამის ხელმძღვანელები, განმახორციელებელი პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და კურიკულუმის კომიტეტი) ახდენს პროგრამის შეფასებას (**როგორ?**) და საგანმანათლებლო პროგრამის/ ცალკეული სასწავლო კურსის განვითარების მიზნით გეგმავს ცვლილებებს (**რის საფუძველზე?**) (სასწავლო კურსების ჩანაცვლება ან/და არჩევითი სასწავლო კურსების დამატება, წინაპირობების, კურსების თანმიმდევრობის, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების გადახედვა, სასწავლო მასალების და ლიტერატურის განახლება, ცვლილებები საკონსულტაციო სერვისებში), რომლებიც განიხილება დარგობრივ დეპარტამენტში, ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომებზე“.

საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება **მეორე სტანდარტს**, რადგან:

**საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** შემუშავებულია უნივერსიტეტში 2012 წლიდან მოქმედი ინტერდისციპლინურ სამაგისტრო პროგრამას „ბიზნეს ინფორმატიკა“ საფუძველზე. განხორციელებული ცვლილებები ცხადი სახითაა ასახული პროგრამის მიზნებსა და შედეგებში, მაგრამ ნაკლებადაა წარმოდგენილი შინაარსში. კერძოდ: ძირითად

საგანთა ნუსხაში აქცენტირება კეთდება საგნებზე, რომლებიც მეტწილად „ინფორმაციულ ტექნოლოგიებს“ განეკუთვნება (სათაურით და შინაარსით) და ნაკლებადაა სამაგისტრო საფეხურის შესაბამისი „კომპიუტერული მეცნიერება“; არჩევით საგანთა ნუსხაში არიან საგნები, რომლებიც უფრო შეესაბამება (სათაურით და შიგთავსით) კომპიუტერული მეცნიერების ძირითად ცოდნის არეებს; გაუგებარია სამაგისტრო დონეზე სავალდებულო საგნად დარგობრივი ინგლისური ენისა და თავისუფალი კომპონენტების არსებობა; მცირეა შეთავაზებული დარგობრივი არჩევითი საგნების რაოდენობა.

სპეციალობის სავალდებულო კურსების უმეტესობის (კერძოდ, „მონაცემთა ბაზების შემუშავება და მართვა“, „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება“, „დაპროგრამების ტექნოლოგიები“, „Web დაპროგრამების ტექნოლოგიები“, „IT პროექტების მენეჯმენტი“) შინაარსი და სწავლის შედეგები არ არის უმაღლესი განათლების მეშვიდე საფეხურის შესაბამისი (ბაკალავრიატის დონეს უფრო შეესაბამება ვიდრე მაგისტრატურას);

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მესამე სტანდარტს**.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მეოთხე სტანდარტს**.

საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება **მეხუთე სტანდარტს**, რადგან

- **შიდა ხარისხის შეფასებაში** არაა მკაფიოდ ჩამოყალიბებული უშუალოდ პროგრამაში ჩართული პერსონალის კონკრეტული ქმედებები/პროცედურები სწავლის შედეგების მიღწევადობის შეფასებებში (აკადემიური მოსწრების შეფასება არ გულისხმობს სწავლის შედეგების მიღწევადობის შეფასებას). არაა განსაზღვრული როგორ უნდა მოხდეს თითოეულ საგანში სწავლის შედეგების მიღწევადობის სამიზნე ნიშნულის განსაზღვრა, მისი შეფასება და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის სამიზნე ნიშნულებში მისი წილის განსაზღვრა. ასევე არაა აღწერილი თუ როგორ უნდა მოხდეს შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
- **პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასებაში**, მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგი რეგულარულ ხასიათს ატარებს, ბუნდოვანია სწავლის შედეგების შეფასების სრულყოფილი მექანიზმის არ არსებობის შემთხვევაში როგორ ხდება მონიტორინგის შედეგების ანალიზი და რას დარდება მიღებული შედეგები.

#### ▪ რეკომენდაციები

1. შემუშავდეს მკვეთრად გაწერილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც უნდა მოიცავდეს: მიღწევადობის სამიზნე ნიშნულებს სწავლის თითოეული შედეგისათვის და ჯამურად პროგრამისათვის. სწავლის შედეგების რუკის შესაბამისად უნდა განისაზღვროს შესაბამისი საგნის სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნული, საგნის შეფასების რომელი კომპონენტით ფასდება კონკრეტული სწავლის შედეგი და ა.შ.;
2. ძირითად საგანთა ნუსხაში დაემატოს დისციპლინები კომპიუტერული მეცნიერების ცოდნის არეებიდან ინტელექტუალური სისტემების, ინფორმაციის უსაფრთხოების, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის და სხვა შესაბამისი საგნები;
3. პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი გახდეს მხოლოდ სავალდებულო საგნებით;

4. საგნები, Web დაპროგრამების ტექნოლოგიები, IT - პროექტების მენეჯმენტი, ნივთების ინტერნეტი (IOT), დარგობრივი ინგლისური გადანაცვლდნენ არჩევით ბლოკში;
5. საგნები, ინტელექტუალური სისტემები, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია, სირთულის თეორია, დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავება, მონაცემთა სტრუქტურების გადრმავებული კურსი, გადანაცვლდნენ ძირითად ბლოკში;
6. დაკორექტირდეს ცალკეული სილაბუსები („მონაცემთა ბაზების შემუშავება და მართვა“, „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება“, „დაპროგრამების ტექნოლოგიები“, „Web დაპროგრამების ტექნოლოგიები“, „IT პროექტების მენეჯმენტი“) და გახდეს სწავლების საფეხურის შესაბამისი;
7. შემუშავდეს პროგრამაში ჩართული პერსონალის ხარისხის შეფასების პროცესში მონაწილეობის პროცედურა/წესი - როგორ, რითი და რა სიხშირით განსაზღვრავს სწავლის შედეგის მიღწევადობას კონკრეტულ საგანში, რის საფუძველზე გეგმავს ცვლილებებს, როგორ ახდენს ცვლილებების ინიცირებას და ა.შ.;
8. შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასებაში მონიტორინგის შედეგების გათვალისწინების მექანიზმი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- გაიზარდოს სპეცილობის არჩევითი კურსების რაოდენობა;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული მეცნიერება“ მიზნები წარმოდგენილია 4 პუნქტის სახით:

1. მაგისტრს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა თანამედროვე კომპიუტერული მეცნიერების ძირითად მიმართულებებში კომპლექსური პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების შესამუშავებლად;
2. კურსდამთავრებულს გამოუმუშაოს სხვადასხვა დარგობრივი სფეროს უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების დამოუკიდებლად კვლევის, მათემატიკური მოდელის აგების, პროგრამული რეალიზაციისა და მართვის უნარები კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით;
3. პროგრამის ფარგლებში გამომუშავებული კომპეტენციებით კურსდამთავრებულმა შეძლოს სხვადასხვა სფეროსთვის კომპიუტერული სისტემების დანერგვა და მართვა, მონაცემთა დაცვა და უსაფრთხოება, ინოვაციური მიდგომებისათვის საფუძვლის შექმნა;
4. კომპიუტერული მეცნიერების უახლესი მეთოდების გამოყენებით მაგისტრმა განახორციელოს კვლევა, მიღებული მონაცემების კრიტიკული ანალიზი, შეფასება, დასკვნების გაკეთება და შედეგების წარდგენა აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისთვის ეთიკის ნორმების დაცვით.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია განსაზღვრულია სწავლების სფეროს კლასიფიკატორში მოცემული დეტალური სფეროს „პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი 0613“ შესაბამისად და სახელწოდებაში ასახულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია „კომპიუტერული მეცნიერება“. **სწავლის სფეროების კლასიფიკატორის** თანახმად (მუხლი 6. პუნქტი.1) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად...“. პროგრამის მიზნები წარმოდგენილია მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად. ადგილობრივი ბაზრის და უნივერსიტეტის მისიის და სტრატეგიული განვითარების გათვალისწინებით, კურსდამთავრებული შეძლებს გარკვეული წვლილის შეტანას რეგიონის განვითარებაში.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის მისია <https://www.bsu.edu.ge/main/page/2-416/index.html>
- უნივერსიტეტის 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა [https://bsu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_60\\_1.pdf](https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_60_1.pdf)

<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;</li> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;</li> <li>➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია სამი ჯგუფის სახით და აღწერს პროგრამის მიზნების შესაბამის შედეგებს:</p> <p><b>1. ცოდნა და გაცნობიერება</b></p> <p>1.1. აქვს კომპიუტერული სისტემებისა და გამოთვლითი გარემოს, პროგრამული უზრუნველყოფის, მედია აპლიკაციების დიზაინსა და განვითარებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური კონცეფციების ღრმა და სისტემური ცოდნა;</p> <p>1.2. ფლობს კომპიუტერული ტექნოლოგიებით კვლევის უახლეს მეთოდებს და</p>



აცნობიერებს მათი გამოყენების აუცილებლობას კომპიუტერული მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებაში ინოვაციური, ორიგინალური იდეების განვითარებისთვის;

1.3. იცის თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით პრობლემის მათემატიკური მოდელის აგების, რეალიზაციის და მართვის ძირითადი პრინციპები.

## 2. უნარი

2.1. შეუძლია დარგის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევა მულტიდისციპლინურ, პრობლემურ გარემოში მიმდინარე კონკრეტული მოვლენების გასაანალიზებლად აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;

2.2. აქვს სხვადასხვა დარგობრივ სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენის, მათემატიკური მოდელების აგების, მათი გადაჭრის ინოვაციური გზების მოძიების და კომპიუტერული მეცნიერების თანამედროვე მეთოდებით რეალიზაციის უნარი;

2.3. შეძლებს რთული სტრუქტურის ან არასრული მონაცემების კრიტიკული ანალიზის, ინოვაციური სინთეზისა და შეფასების საფუძველზე შეიმუშაოს კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების განსხვავებული სტრატეგიები;

2.4. შეძლებს წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები, როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებასთან ეთიკური ნორმების დაცვით და დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

## 3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

3.1. იყენებს მიღებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ცვალებად, კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო და სამუშაო გარემოსთან ადაპტირებისა და მართვისთვის;

3.2. შეაქვს საკუთარი წვლილი დარგის განვითარებასა და სრულყოფაში, მართვის ინოვაციური მიდგომების დანერგვით;

3.3. იღებს პასუხისმგებლობას სხვების პროფესიულ საქმიანობასა და განვითარებაზე;

3.4. აფასებს პროფესიული განვითარების საჭიროებებს და დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარ განათლებას.

წარმოდგენილი სწავლის შედეგები მკაფიოდ აღწერენ იმ ცოდნას და უნარებს რომელიც უნდა გააჩნდეს „კომპიუტერული მეცნიერების“ მაგისტრის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულს.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ რომელმაც უნდა უზრუნველყოს სწავლის შედეგების შეფასება. სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება სხვადასხვა გამოკითხვებს და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კვლევას სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე. დოკუმენტი ზოგადი ხასიათისაა და არაა განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების დადგენის და შეფასების მექანიზმი პროგრამის ან/და საგნის სწავლის შედეგებთან მიმართებაში. წარმოდგენილ მასალებში მოცემულია ერთი სასწავლო წლის შესაბამისი საგნების აკადემიური მოსწრების სტატისტიკა, მაგრამ არაა გაანალიზებული რა ინფორმაციაა ამის საფუძველზე მიღებული - დამაკმაყოფილებელია თუ არა შედეგი, რა ქმედებები უნდა განხორციელდეს (ან არ უნდა განხორციელდეს) და როდის პროგრამის გასაუმჯობესებლად.

თვითშეფასებაში მოცემულია ზოგადი ჩანაწერი “დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე (რას გულისხმობს ანალიზი?) პროგრამის გუნდი (პროგრამის ხელმძღვანელები, განმახორციელებელი პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და კურიკულუმის კომიტეტი) ახდენს პროგრამის შეფასებას (როგორ?) და საგანმანათლებლო პროგრამის/ ცალკეული სასწავლო კურსის განვითარების მიზნით გეგმავს ცვლილებებს (რის საფუძველზე?) (სასწავლო კურსების ჩანაცვლება ან/და არჩევითი სასწავლო კურსების დამატება, წინაპირობების, კურსების

თანმიმდევრობის, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების გადახედვა, სასწავლო მასალების და ლიტერატურის განახლება, ცვლილებები საკონსულტაციო სერვისებში), რომლებიც განიხილება დარგობრივ დეპარტამენტში, ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომებზე“.

პროგრამას უნდა ჰქონდეს მკვეთრად გაწერილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც უნდა მოიცავდეს: მიღწევადობის სამიზნე ნიშნულებს სწავლის თითოეული შედეგისათვის და ჯამურად პროგრამისათვის. სწავლის შედეგების რუკის შესაბამისად უნდა განისაზღვროს შესაბამისი საგნის სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნული, საგნის შეფასების რომელი კომპონენტით ფასდება კონკრეტული სწავლის შედეგი და ა.შ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს No06-01/91 დადგენილება

**რეკომენდაციები:**

- შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი პროგრამისათვის დეტალური აღწერით

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამაში არსებული ჩანაწერის თანახმად: „სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის N 59 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის“ შესაბამისად.</p> <p>სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საერთო სამაგისტრო გამოცდა და რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში დარეგისტრირდნენ ბსუ-ში მაგისტრანტობის კანდიდატად, სრულყოფილად წარმოადგინეს ამ წესით დადგენილი დოკუმენტაცია, ჩააბარეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები უცხო ენასა (ინგლისური ენა) და სპეციალობაში და დადგენილ ვადებში გააფორმეს ხელშეკრულება ბსუ-სთან.</p> <p>შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა გულისხმობს ტესტირებას ინგლისურ ენაში (B1 დონე) და წერით გამოცდას სპეციალობაში (აპლიკანტებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი ინფორმაცია განთავსებულია ბსუ-ს ვებ გვერდზე)“.</p> <p>პროგრამაზე დაშვების აღწერილი პროცედურები გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. ისინი იძლევიან სრულ ინფორმაციას ყველა წინაპირობების და პროცედურების შესახებ.</p> <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საგანმანათლებლო პროგრამა</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>○ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილება <a href="https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_4958_1.pdf">https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_4958_1.pdf</a></li> <li>○ უნივერსიტეტის წესდება <a href="https://bsu.edu.ge/upload/danarti_1.pdf">https://bsu.edu.ge/upload/danarti_1.pdf</a></li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>•</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი გამოცენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს რიგი დებულებები, რომლებიც აღწერენ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად პროგრამა შემუშავებულია აღნიშნული წესების დაცვით.

პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, რომელიც განაწილებულია:

- სპეციალობის სავალდებულო კურსები - 95 კრედიტი,
- სპეციალობის არჩევითი კურსები - 15 კრედიტი,
- თავისუფალი კომპონენტები - 10 კრედიტი

სპეციალობის სავალდებულო კურსები მოიცავენ დარგობრივ (65 ECTS) დისციპლინებს და სამაგისტრო ნაშრომს (30 ECTS).

პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში 2012 წლიდან მოქმედი ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამის „ბიზნეს ინფორმატიკა“ საფუძველზე. განხორციელებული ცვლილებები ცხადი სახითაა ასახული პროგრამის მიზნებსა და შედეგებში, მაგრამ ნაკლებადაა წარმოდგენილი შინაარსში. კერძოდ:

- ძირითად საგანთა ნუსხაში აქცენტირება კეთდება საგნებზე რომლებიც მეტწილად „ინფორმაციულ ტექნოლოგიებს“ განეკუთვნება (სათაურით და შინაარსით) და ნაკლებადაა სამაგისტრო საფეხურის შესაბამისი „კომპიუტერული მეცნიერება“ (მაგ. Web დაპროგრამების ტექნოლოგიები, IT - პროექტების მენეჯმენტი, ნივთების ინტერნეტი (IOT));
- შინაარსობრივად სილაბუსებში მეტწილად ტექნოლოგიურ საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული ვიდრე კომპიუტერული მეცნიერების;
- არჩევით საგანთა ნუსხაში არის საგნები, რომლებიც უფრო შეესაბამება (სათაურით და შიგთავსით) კომპიუტერული მეცნიერების ძირითად ცოდნის არეებს (ინტელექტუალური სისტემები, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია, სირთულის თეორია, დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავება, მონაცემთა სტრუქტურების გაღრმავებული კურსი).

პროგრამის შემუშავებლების მიერ მოყვანილი მტკიცებულებების შესაბამისად, რომლებიც აღწერს სხვადასხვა უნივერსიტეტების „კომპიუტერული მეცნიერებების“ მსგავს პროგრამებს, სავალდებულო კომპონენტებში აუცილებლად ფიგურირებენ ალგორითმების, ინტელექტუალური სისტემების, მონაცემთა დამუშავების და სხვა ძირითადი ცოდნის არეების შესაბამისი დისციპლინები, რაც არაა გათვალისწინებული წარმოდგენილ პროგრამაში.

აგრეთვე გაუგებარია სამაგისტრო დონეზე სავალდებულო საგნად დარგობრივი ინგლისური ენისა და თავისუფალი კომპონენტების არსებობა. უმჯობესია, მიღების წინაპირობებში განისაზღვროს ინგლისური ენის უფრო მაღალი კომპეტენცია და დარგობრივი ინგლისური გახდეს არჩევითი. ასევე გაიზარდოს სპეციალობის არჩევითი კურსების რაოდენობა.

სასწავლო პროგრამის სტრუქტურა შესძლებს უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა თუ განხორციელდება რიგი არჩევითი და ძირითადი საგნების ადგილშენაცვლება. შესაბამისად ამ შემთხვევაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაში იქნება პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების

<p>უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მოხდეს ძირითადი და არჩევითი საგნების ადგილშენაცვლება: <ul style="list-style-type: none"> <li>✓ საგნები, Web დაპროგრამების ტექნოლოგიები, IT - პროექტების მენეჯმენტი, ნივთების ინტერნეტი (IOT), გადანაცვლდნენ არჩევით ბლოკში</li> <li>✓ საგნები, ინტელექტუალური სისტემები, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია, სირთულის თეორია, დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავება, მონაცემთა სტრუქტურების გაღრმავებული კურსი, გადანაცვლდნენ ძირითად ბლოკში.</li> <li>✓ გაიზარდოს სპეცილობის არჩევითი კურსების რაოდენობა.</li> </ul> </li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო

კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაში წარმოდგენილია **შედეგების რუკა**, რომელშიც სწავლის ყოველ შედეგზე შეთანადებულია საგანთა გარკვეული ჯგუფი (როგორც ძირითადი ასევე არჩევითი) მიღწევადობის სხვადასხვა დონით. უმრავლესი სასწავლო კურსები შინაარსით თანადობაში არიან სათაურთან და მათ შესასწავლად გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება საგნის სწავლის შედეგებს.

სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სასწავლო პროგრამის მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილეობენ არჩევითი კურსებიც.

თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, თუმცა სპეციალობის სავალდებულო კურსების უმეტესობის (კერძოდ, „მონაცემთა ბაზების შემუშავება და მართვა“, „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება“, „დაპროგრამების ტექნოლოგიები“, „Web დაპროგრამების ტექნოლოგიები“, „IT პროექტების მენეჯმენტი“) შინაარსი და სწავლის შედეგები არ არის უმაღლესი განათლების მეშვიდე საფეხურის შესაბამისი (ბაკალავრიატის დონეს უფრო შეესაბამება ვიდრე მაგისტრატურას);

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდებისთვის მეტწილად (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს;

სილაბუსში მითითებული ძირითადი სასწავლო მასალა მეტწილად დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, თუმცა ცალკეულ სილაბუსებში, დამატებით მასალად მითითებულია რუსულენოვანი ლიტერატურა. ვინაიდან რუსული ენის ცოდნა არ მოეთხოვებათ სტუდენტებს, გაურკვეველია, როგორ შეძლებს ყველა სტუდენტი რუსულენოვანი დამატებითი ლიტერატურით სარგებლობას. სასურველია, რუსულენოვანი ლიტერატურა ჩანაცვლდეს ინგლისური ლიტერატურით, რადგან ინგლისური ენის ცოდნა გახლავთ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „კომპიუტერული მეცნიერება“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის კურსების სილაბუსები
- ინტერვიუები თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

### **რეკომენდაციები:**

- პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი გახდეს მხოლოდ სავალდებულო

<p>საგნებით.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>დაკორექტირდეს ცალკეული სილაბუსები („მონაცემთა ბაზების შემუშავება და მართვა“, „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება“, „დაპროგრამების ტექნოლოგიები“, „Web დაპროგრამების ტექნოლოგიები“, „IT პროექტების მენეჯმენტი“) და გახდეს სწავლების საფეხურის შესაბამისი.</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li></li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</b></p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პრაქტიკული უნარების განვითარება გათვალისწინებულია ცალკეულ კურსებში კონკრეტული პრაქტიკული ხასიათის პროექტების/დავალებების, ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებით.</p> <p>პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ჩაერთონ სხვადასხვა კვლევით პროექტებში და რეალურ ამოცანებზე მუშაობის შედეგები ასახონ სამაგისტრო ნაშრომში. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ინტერესების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ</p>



სტუდენტთა დასაქმების ფორუმებში და სხვადასხვა კონკურსებში.  
 ბსუ-ში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია. კონფერენციის დროს გამოვლინდება საუკეთესო ნაშრომები, ჯილდოვდება სპეციალური სერტიფიკატებით და ქვეყნდება სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომების კრებულში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა მოიცავს მრავალფეროვან სწავლა-სწავლების მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის დონეს. პროგრამაში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: დემონსტრირების მეთოდი, სიახლეთა გარჩევა, პრაქტიკული მუშაობა, პრეზენტაციების წარდგენა, გუნდური მუშაობა, ლიტერატურის მიმოხილვა, წიგნზე მუშაობის მეთოდი, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სავარჯიშოები და შესაბამისი მასალის მოძიება ონლაინ ან ბიბლიოთეკაში.

სტუდენტები მცირე ჯგუფებში არიან განაწილებულნი, რაც საკმარისია ზემოხსენებული მეთოდების გამოყენებით სწავლის შედეგის მისაღწევად.

